



ხელოვნური ინტელექტის განვითარების ასახვა თანამედროვე
ჟურნალისტურ პრაქტიკაში

ნინო კიკვაძე, ნინო სიგუა



MAY 9, 2024

კავკასიის უნივერსიტეტი

შინაარსი

აბსტრაქტი.....	2
შესავალი	4
დადებითი მხარეები	5
უარყოფითი მხარეები.....	7
ეთიკური დილემები და პროფესიაში ჩანაცვლების საფრთხე	8
გამოყენებული წყაროები	11

აბსტრაქტი

უკანასკნელი რამდენიმე თვის განმავლობაში AI - ხელოვნური ინტელექტი, მისგან მიღებული სარგებელი და მოსალოდნელი საფრთხეები საზოგადოების განხილვის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური თემა გახდა. ხელოვნური ინტელექტის განვითარებასთან ერთად, საზოგადოებაში ჩნდება შიში, რომ გარკვეული პროფესიების წარმომადგენლებს AI ჩაანაცვლებს. ამ საფრთხეს აქტიურად უკავშირებენ ჟურნალისტურ საქმიანობას, რადგან წერა AI-ს ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული უნარია.

ჩვენთვის, როგორც ჟურნალისტიკის სტუდენტებისთვის და მოქალაქეებისთვის, აღნიშნული საკითხი ორმაგად საინტერესოა. სწორედ ამიტომ, გადავწყვიტეთ, კვლევა ამ თემის გარშემო ჩავატაროთ. მუშაობის პროცესს უფრო საინტერესოსა და რთულს გახდის ის მოცემულობა, რომ ეს საკითხი საკმაოდ ახალი და ნაკლებად შესწავლილია. ამის მიუხედავად, განსაზღვრული გვაქვს, რომ უმეტესად ვიმუშავეთ ინგლისურენოვან კვლევებზე და გამოვიყენებთ უცხოურ წყაროებს. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, თემისადმი პირად ინტერესთან ერთად, ჩვენი ნამუშევარი ინფორმატიული, საინტერესო და ხელმისაწვდომი იყოს ქართული აუდიტორიისთვის, რადგან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს საკითხი საკმარისად განხილული არ არის ქართულ მედიაში.

ჩვენი ნაშრომის მთავარი კითხვაა „როგორ აისახება ხელოვნური ინტელექტის განვითარება თანამედროვე ჟურნალისტურ პრაქტიკაში?“, შესაბამისად, საკითხს

განვიხილავთ როგორც დადებით, ისე უარყოფით ჭრილში - „ემუქრება თუ არა ჟურნალისტის პროფესიას გაქრობის საფრთხე?“, „როგორ შეიძლება ხელოვნური ინტელექტის სასარგებლოდ გამოყენება ჟურნალისტურ საქმიანობაში?“, „AI-ფეიქ ნიუსთან მებრძოლი თუ მისი ხელშემწყობი?“ და ა.შ.

კვლევის პროცესში, დაგეგმილი გვაქვს ექსპერიმენტის ჩატარება, რომლის ფარგლებშიც, სხვადასხვა ასაკისა და სეგმენტის წარმომადგენლებს წარვუდგენთ AI-სა და ჟურნალისტის დაწერილ ტექსტებს და ვთხოვთ მათ ერთმანეთისგან გარჩევას. ეს ექსპერიმენტი დაგვეხმარება, რომ პრაქტიკაში დავინახოთ, რამდენად შესაძლებელია, მედიის მომხმარებელთა თვალში ხელოვნური ინტელექტის დაწერილმა ტექსტმა მიაღწიოს იმავე ხარისხს, რასაც პროფესიონალი ჟურნალისტის ნამუშევარმა.

ამასთან ერთად, ჩავატარებთ სიღრმისეულ ინტერვიუებს აქტიურ ჟურნალისტთან quality research-ის სახით, რათა საკითხის დანახვა და შეფასება მოხდეს პრაქტიკოსთა მხრიდანაც.

შესავალი

ხელოვნური ინტელექტის არსებობის ისტორია ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის ადრეული წლებიდან იწყება, როდესაც კომპიუტერულმა მოწყობილობებმა მუშაობა დაიწყეს და „ფიქრის უნარი შეიძინეს“. თავდაპირველად, მათი შესაძლებლობები საკმაოდ შეზღუდული იყო და ადამიანის ჩარევის გარეშე მოწყობილობებს ათწლეულების განმავლობაში არ შეეძლოთ მუშაობა. (ენიოჰა, 2017). ტექნოლოგიების განვითარებასა და ხელმისაწვდომობის გაზრდასთან ერთად, უფრო აქტუალური გახდა ხელოვნური ინტელექტის საკითხიც. AI-ის ისტორიის ქრონოლოგიას რომ გადავხედოთ, პოპულარობის ბუმს მსოფლიო მასშტაბით 1980 – 1990 წლებში მიაღწია. ბოლო წლებში კი, განვითარების პიკზე მისვლასთან და ისეთი აპლიკაციების შექმნასთან ერთად, როგორც მაგალითად ChatGPT-ია, კიდევ უფრო პოპულარული გახდა და არა მხოლოდ პოპულარული, არამედ ადამიანების ყოველდღიურობის განუყრელ ნაწილადაც იქცა. (კარაიანი, 2023).

ხელოვნური ინტელექტის გაძლიერება და გაპოპულარულება განსაკუთრებით აქტუალური საკითხი გახდა მედიასა და ჟურნალისტიკაში. პირველ რიგში, ChatGPT-ის წერის უნარების აქტიურმა გამოყენებამ სხვადასხვა სფეროში გააჩინა ეჭვები და კითხვები იმის შესახებ, შეუძლია თუ არა ხელოვნურ ინტელექტს ჟურნალისტიკის პროფესიის ათვისება და მედიაში ადამიანების ჩანაცვლება. (ხაცენკოვა, 2023). პროფესიაში ჩანაცვლებასთან ერთად, განსაკუთრებით აქტუალური გახდა ხელოვნური ინტელექტის ნიუსრუმში გამოყენების პრაქტიკა, დადებითი და უარყოფითი მხარეები. ამ ჭრილში, აღსანიშნავია ხელოვნური ინტელექტის გამოყენება როგორც ფეიქ ნიუსთან ბრძოლაში, ასევე ფეიქ ნიუსის შექმნაში. თანამედროვე ტექნოლოგიები უფრო და უფრო მარტივს ხდის ე.წ. Deep Fake მასალის შექმნას, რაც ნიშნავს ციფრულად შექმნილ მაქსიმალურად რეალისტურ ვიზუალურ მასალას, რომელიც ამოსაცნობად რთულია. (Cambridge Dictionary, n.d.)

დადებითი მხარეები

ჟურნალისტიკაში, ხელოვნურ ინტელექტს აღიქვამენ, როგორც დამხმარე ტექნოლოგიას, რომელიც ამარტივებს სამუშაო პროცესს. თავდაპირველად AI-ის იყენებდნენ სხვადასხვა ინტერვიუს ან აუდიო ჩანაწერის გამიფვრისთვისა და ტრანსკრიპტების შესაქმნელად. ხელოვნური ინტელექტის განვითარებასთან ერთად, უფრო მრავალფეროვანი გახდა მისი გამოყენების შესაძლებლობებიც. ხელოვნური ინტელექტი ჟურნალისტებმა შეიძლება გამოიყენონ შემდეგი დანიშნულებებით:

- ინფორმაციის სწრაფად მოძიებაში - ინტერნეტის გამოყენება კვლევისთვის თუ ინფორმაციის მოსაძიებლად უკვე წლებია ტექნოლოგიური განვითარების ერთ-ერთი ყველაზე გამოსადეგი შედეგია. უდიდესი ციფრული ბაზების არსებობის გარდა, ინფორმაციის მოძიების პროცესს ამარტივებს ხელოვნური ინტელექტის ის ფუნქციაც, რომ შენზე მორგებული ალგორითმით დაგეხმაროს გამოსადეგი ინფორმაციის პოვნაში. (გრუვერი, 2024)
- მასალის ანალიზი - ხელოვნური ინტელექტის დახმარებით ბევრად უფრო მარტივი და დროის მხრივ მომგებიანი გახდა სხვადასხვა მასალის ანალიზი - იქნება ეს ტექსტის შეჯამება, ვიზუალიზაცია, ძირითადი ნაწილების ამოკრება თუ მონაცემების ანალიზი.
- ვიზუალური ეფექტის გაუმჯობესება - ხელოვნური ინტელექტი გრაფიკული დიზაინის ცოდნის გარეშეც გაძლევს შესაძლებლობას, შექმნა ძლიერი ვიზუალური მხარე შენი ინფორმაციისთვის, რათა უფრო ეფექტურად და მარტივად მიაღწიოს სამიზნე აუდიტორიას. იმის გათვალისწინებით, რომ მედიაში ინფორმაციულ ნაწილთან ძალიან დიდი დატვირთვა აქვს ვიზუალურ მხარესაც, ეს ფუნქცია ერთ-ერთი ყველაზე აქტიურად გამოყენებადია.
- ინფორმაციის გადამოწმებასა და Fake news-ის გამოვლენაში - ხელოვნური ინტელექტისა და თანამედროვე ტექნოლოგიების წყალობით, ინფორმაციის

გადამოწმება და გაფილტვრა უფრო და უფრო მარტივი და სწრაფი ხდება, შესაბამისად, ჟურნალისტებს ეძლევათ საშუალება, უფრო და უფრო სწრაფად და ეფექტურად მიაწოდონ რეალური ინფორმაცია საზოგადოებას ყალბი ფაქტების გავრცელების შემთხვევაში. (ჰელბერგერი, 2019)

- თარგმნა - ისეთი ტექნიკური დეტალები, როგორცაა ინფორმაციის თარგმნა და სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე აუდიტორიაზე მორგება, ხელოვნური ინტელექტის დახმარებით მინიმალურ დროს საჭიროებს, რაც თავისთავად ამარტივებს მულტიკულტურულ კომუნიკაციას, ეხმარება გლობალიზაციის პროცესსა და საერთაშორისო მედიის განვითარებას.

ამ და სხვა ტექნიკური სერვისების წყალობით, მასალაზე მუშაობისას ჟურნალისტი ხელოვნური ინტელექტის დახმარებით ზოგავს დროს, დამხმარე ტექნოლოგია წამებში პოულობს საჭირო ინფორმაციას, შემდეგ აჯამებს, ამცირებს ზომში, რათა ჟურნალისტისთვის მუშაობა უფრო მარტივი და კომფორტული გახდეს, ასე ჟურნალისტი მეტ დროს უთმობს ჟურნალისტურ საქმიანობას და საქმის კრეატიულ ნაწილს. (ნიუმენი, 2020)

უარყოფითი მხარეები

ერთ-ერთი უარყოფითი შედეგი, რომელიც AI-ის განვითარებამ გამოიღო Fake news-ების მარტივად შექმნის შესაძლებლობაა. Generative AI ქმნის ვიდეო და ფოტო მასალებს, ყალბ სტატიებს, რომელიც ვრცელდება ინტერნეტ სივრცეში, რაც იწვევს საზოგადოების დეზინფორმირებას. ჩნდება შესაძლებლობა, რომ ადამიანმა, რომელსაც ხელოვნური ინტელექტის არაკეთილსინდისიერად გამოყენება აქვს განზრახული, გაავრცელოს ყალბი ინფორმაცია, გამოიყენოს სხვადასხვა ტელეწამყვანების ხმა, ვიდეო, რაც ხალხში იწვევს მედიის მიმართ უნდობლობას. გარდა ამისა, ხელოვნური ინტელექტით შექმნილი ნიუსი, რთულად ამოცნობადია, ინფორმაცია სწორად თუ არ გადამოწმდა, შესაძლებელია მედიამ ხელი შეუწყოს Fake news-ის გავრცელებას. “Washington post” -ის 2023 წლის მონაცემებით იმ ვებ გვერდების რაოდენობა, რომელზეც ყალბი ხელოვნური ინტელექტით შექმნილი სტატიები ვრცელდება მაისის თვიდან 49-დან 600-მდე გაიზარდა. (Washington post. 2023) მიუხედავად ამისა, როგორც კვლევაშია ნახსენები, ინფორმაციის გადამოწმება და ცრუ ინფორმაციის გამოვლენა ხელოვნური ინტელექტის ერთ-ერთი დადებითი მხარეა. მედია იყენებს AI-ის ისევ და ისევ AI-ის დასაძლევად.

საკითხთან დაკავშირებით, ახალგაზრდა ქართველ ჟურნალისტთან, ლაშა ხაჩიძესთან სიღრმისეული ინტერვიუ ჩავატარეთ 2024 წლის აპრილში. ჟურნალისტმა ისაუბრა ხელოვნური ინტელექტის როგორც უარყოფით, ისე დადებით მხარეებზე. მისი თქმით, ხელოვნურ ინტელექტს ყველაზე ხშირად სწორედ ყალბი ინფორმაციის ამოცნობასა და გადამოწმებაში იყენებს და თვლის, რომ თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებისგან მიღებული შესაძლებლობების ეთიკურად გამოყენების შემთხვევაში, დადებითი მხარეები აუცილებლად გადაწონის უარყოფითს.

ეთიკური დილემები და პროფესიაში ჩანაცვლების საფრთხე

იმ დადებით და გამოსადეგ ხელსაწყოებთან ერთად, რასაც ხელოვნური ინტელექტი ჟურნალისტებს სთავაზობს სამუშაოს შემსუბუქებაში ასწრაფებასა და დიდ აუდიტორიამდე მისვლაში, ჩნდება ეთიკური დილემებიც მედიაში დასაქმებულთათვის. (ნიუმენი, 2020) როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, ხელოვნური ინტელექტის დახმარებით თანამედროვე ხელსაწყოებს შეუძლიათ ჟურნალისტებს სამუშაო გაუმარტივონ სხვადასხვა განხრით: უფრო სწრაფად და მარტივად მოახერხონ ინფორმაციის მოძიება და გადამოწმება, ციფრული ალგორითმების დახმარებით უფრო ეფექტურად მისწვდნენ თავიანთ აუდიტორიას და ა.შ. ამ ეტაპზე ჩნდება მორალური დილემა, როდესაც ჟურნალისტი იაზრებს ხელოვნური ინტელექტის შესაძლებლობებს და თავად უნდა გადაწყვიტოს, თუ რა დონეზე გამოიყენებს მას. სხვა ფუნქციებთან ერთად, ხელოვნურ ინტელექტს მაღალ დონეზე აქვს განვითარებული წერის უნარები, ამაზე მოწმობს ისიც, თუ რამდენი სტუდენტი იყენებს ChatGPT-ის ესეებისა თუ სხვა ტიპის ნაშრომების დასაწერად. სწორედ წერის ეს განვითარებული უნარები არის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი იმისა, თუ რატომ გაჩნდა ექვები ხელოვნური ინტელექტის მიერ ჟურნალისტების ჩანაცვლებისა. ამ საკითხის უკეთ გასააზრებლად, ჩავატარეთ ექსპერიმენტი, რომლის ფარგლებშიც Google Forms-ის კითხვარით ერთმანეთს შევადარეთ ორი ერთსა და იმავე თემაზე დაწერილი სტატია - ერთ-ერთი ეკუთვნის ბრიტანულ გამოცემა Santander-ს, მეორე კი სულ რამდენიმე წამში დაწერა ChatGPT-ის უფასო (ნაკლებად დახვეწილმა) ვერსიამ, როდესაც ვთხოვეთ, რომ სტატია დაეწერა იმაზე, თუ რა გავლენას ახდენს გლობალური დათბობა ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაზე, რადგან სწორედ ამ საკითხს ეხებოდა Santander-ის სტატია. ექსპერიმენტის მონაწილეებს უნდა ამოეცნოთ რომელი მათგანი იყო ხელოვნური ინტელექტის დაწერილი და რომელი ჟურნალისტის და სურვილისამებრ აღენიშნათ, თუ რა არგუმენტი ჰქონდათ თავიანთი მოსაზრების გასამყარებლად. მონაწილეთა უმეტესობამ სწორად ამოიცნო ხელოვნური ინტელექტის დაწერილი სტატია, 77.3% სწორად მიხვდა, თუ რომელი სტატია იყო

Sartander-ის ჟურნალისტის დაწერილი. 22,7%-მა კი ChatGPT-ის სტატია ჩათვალა ჟურნალისტის ნამუშევრად. მათი არგუმენტები კი შემდეგნაირად ჟღერდა:

- „ხელოვნურ ინტელექტს სჩვევია, სხვადასხვა საკითხის ციფრებით გამოყოფა. ასევე მგონია, რომ პირველ ტექსტში უფრო მეტად არის ჰუმანური პრობლემები წარმოჩენილი“,
- „სტილმა, შაბლონურობამ, ხელოვნურმა და ავტომატურმა პერფექციონიზმმა, რომელსაც არ ეტყობა ნამუშევარი“,
- „ხელოვნური ინტელექტის სტატია ძირითადად არ გამოირჩევა ლოგიკური, თანმიმდევრული მსჯელობით. კარგად არის დაცული ტექსტის სტრუქტურა(შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა). გარდა ამისა, პუნქტებადაა გამოყოფილი საკითხთან დაკავშირებული პრობლემები, რომლებიც მეტად განზოგადებულად არის აღწერილი.“,
- „ხელოვნურის უფრო რობოტულია“,
- „ პირველ რიგში, წერის სტილმა, მანერამ, გრამატიკულმა, სიტყვათა წყობამ. ხელოვნური ინტელექტი სტანდარტულად, ნეიტრალურად, გეგმურად მიუყვება ნაწერს, ჟურნალისტის პათოსში კი ემოციურობაც შეინიშნება...“ , „ 1. უფრო მარტივი "ადამიანური" ენითაა პირველი ვარიანტი დაწერილი (უფრო მარტივი ლექსიკონი და მოკლე მარტივი სტრუქტურის წინადადებები), ხშირად მეორდება ნაცვალსახელი "ჩვენ" და უფრო ზოგადი და მოკლე "ადამიანური" სახის სტატიაა რაც უფრო შეესაბამება ტიპური ჟურნალის სტანდარტებს. 2. დასახელების სტილი მეორე სტატიაში სუფთა chatgpt-ის სტილია - ჯერ რაღაც topic შემდეგ ":" დ დაკონკრეტებული სახელი მერე, თემაც უფრო კონკრეტულია პირდაპირ იწყება უფრო პროდუქტიული ინფორმაციის მოწოდებით ლამაზი შესავლების გარეშე, სტატიაც მთლიანად უფრო მოცულობითია გამახვილებულია scientific დეტალებზე უფრო და უფრო რთული ენით წერია ტექსტი შთაბეჭდილებას ტოვებს რომ ისახავს რაც შეიძლება მეტ ასპექტს გაუსვას ხაზი (სხვა ჟურნალსაც რომ იყვანს მაგალითად ეგეც ცალკეული

მინიმუმბა) ნაცვლად იმისა რომ ხალხის ყურადღება მიიპყროს დააინტერესოს და მთავარი აზრის სახით ჩაუდოს ინფორმაცია, (იმიტომ რომ ძირითადად ჟურნალისგან ხომ იმით განსხვავდება AI სთან ურთიერთობა, რომ უკვე დაინტერესებულები ვართ და ცნობიერების ამაღლების მიზნით ვუსვამთ კონკრეტულ კითხვას.) ბოლო დასკვნაც ისეთია როგორი სტრუქტურითაც წერს ხოლმე AI. ჟურნალის სტატიებში ამგვარი გადასვლები არ გამოიყოფა ხოლმე, ნაკლებად ხისტია, და აჯამებენ სათქმელს. "In conclusion while effects ... may seem... they are" ძალიან ბევრ პასუხს მიჯამებს ხოლმე მაგ opening sentence სტრუქტურით (ნაცვალსახელი "ჩვენ" უფრო ნაკლები იყო)“

ამ ექსპერიმენტთან ერთად, პროფესიის ჩანაცვლების საფრთხეზე კითხვებს უპასუხა ჟურნალისტმა ლაშა ხაჩიძემაც. მისი თქმით, როგორც არ უნდა განვითარდეს ხელოვნური ინტელექტის წერის უნარები, მაინც ვერასოდეს შეძლებს ცოცხალი ადამიანის გონებისა და წერაში გაწაფული ჟურნალისტის ჩანაცვლებას. „შეიძლება ხელოვნური ინტელექტი დაგვეხმაროს ინფორმაციის მოძიებაში, დაზუსტებაში, სიყალბის ამოცნობაში და ა.შ. თუმცა ვერასოდეს შეძლებს, რომ ჩაგვანაცვლოს როგორც ამბის მთხრობელები, ამბის თხრობა (Story Telling) არც ისე მარტივი უნარია ადამიანებისთვისაც კი, იმიტომ მე, როგორც ჟურნალისტი, ხელოვნური ინტელექტისგან საფრთხეს არ ვგრძნობ“.

გამოყენებული წყაროები:

Cambridge Dictionary. (n.d.).

გრუვერი, ე. (2024). ხელოვნური ინტელექტის როლი ძეგლის მექანიზმებში. *Binmile.*

ენიოჰა, რ. (2017). შეუძლიათ კომპიუტერულ მოწყობილობებს ფიქრი? *Harvard Edu.*

კარაიანი, რ. (2023). ხელოვნური ინტელექტის ისტორია - დროის სრული ბადე. *Tech Target.*

ნიუმენი, ნ. (2020). ჟურნალისტიკა, მედია და ტექნოლოგია - ტრენდები და მოლოდინები 2020 წლისთვის. როიტერსი.

ხაცენკოვა, ს. (2023). ჩანაცვლებს თუ არა ChatGPT და სხვა მოწყობილობები ჟურნალისტებს ნიუსრუმში? *Euronews.*

ჰელბერგერი, ნ. (2019). ციფრული ჟურნალისტიკა.

ვერმა, პ. (2023). AI-ით შექმნილი ცრუ ინფორმაციის აღზევა ქმნის 'მისინფორმაციის გამავრცელებელს' *Washington Post.*